

შეჯიბრებითობის პრინციპი მტკიცებულებათა დასაშვებობისა და
გამოკვლევის დროს (დაცვის მხარის პერსპექტივიდან)

ირაკლი გოშუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამართლის სკოლა სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ირაკლი გოშუა

23.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება, შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს მტკიცებულებათა დასაშვებობისა და გამოკვლევის დროს. ნაშრომში განხილული იქნება ზოგადად შეჯიბრებითობის პრინციპის არსი, მისი წარმომავლობა და მოკლე ისტორიული ტრანსფორმაცია ინკვიზიციური მოდელიდან შეჯიბრებით სისტემაზე, რაც მხარეთა თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს ეფუძნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მტკიცებულებათა დასაშვებობისა და მათი გამოკვლევის საკითხებს, რაც საშუალებას მისცემს მკითხველს უკეთ გაეცნოს და ნათლად დაინახოს პრაქტიკაში არსებული სამართლებრივი ხარვეზები და ამ კუთხით არსებული პრობლემური ასპექტები, მათ შორის, ისეთი საკითხები, როდესაც მხარეს მაინც სურს იმ მტკიცებულების გამოკვლევა, რომელსაც მოწინააღმდეგე მხარე სადავოდ არ ხდის. ასევე, განხილულია ე.წ. „კოპირებული მტკიცებულებები“ რაზეც ნორმატიულ აქტებსა და სამართლებრივ ლიტერატურაში არ არსებობს კონკრეტული ჩანაწერი და დამკვიდრებულია არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა.

ნაშრომში მოკლედ არის საუბარი მოსამართლის როლზე მტკიცებულებათა დასაშვებობის დროს. თუ რამდენად აქვს უფლება, ბრალდების მხარის შუამდგომლობის გარეშე საკუთარი ინიციატივით დაუშვებლად ცნოს დაცვის მხარის მტკიცებულება. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საკითხზე, რომლის თანახმადაც, დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებულ მტკიცებულებას პირველად იკვლევს ბრალდების მხარე, რაც ბადებს კითხვებს შეჯიბრებითობის, თანასწორობისა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის დარღვევის ნაწილში. ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რაც ხელს შეუწყობს კანონმდებლობის შესაბამისობას, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან და სასამართლოს პრაქტიკის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: შეჯიბრებითობა, თანასწორობა, მტკიცებულებათა დასაშვებობა და გამოკვლევა.

Abstract

This master's thesis addresses contentious issues related to the adversarial principle in the admissibility and examination of evidence. It explores the essence and origins of the adversarial principle and provides a brief historical overview of its transformation from the inquisitorial model to the adversarial system, emphasizing the principles of equality of parties and fair trial.

Special attention is given to issues concerning the admissibility and examination of evidence, enabling readers to better understand and clearly identify practical legal gaps and problematic aspects within this context. This includes situations where a party seeks to examine evidence that the opposing party does not contest. Additionally, the thesis discusses so-called "copied evidence," a matter lacking specific regulation in normative acts and legal literature, resulting in inconsistent judicial practices.

The thesis briefly examines the judge's role in determining the admissibility of evidence, specifically addressing whether a judge is authorized, without a prosecutor's motion, to independently declare inadmissible evidence presented by the defense. Significant emphasis is placed on situations where evidence obtained through a defense motion is first examined by the prosecution, raising concerns regarding violations of adversarial principles, equality, and protection against self-incrimination. The thesis concludes with relevant conclusions and recommendations aimed at ensuring legislative compliance with principles of equality and adversariality and improving judicial practice.

Keywords: adversariality, equality, admissibility and examination of evidence.